



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
თბილისის აკოლონ ქუთათელაძის სახელობის  
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა  
დიზაინის ფაკულტეტი**

**ავჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება**

**პროგრამის ხელმძღვანელები :**

თეიმურაზ სარიშვილი, ასოცირებული პროფესორი,  
ეკა სარიშვილი, ასოცირებული პროფესორი

დამტკიცებულია თსსა დიზაინის საბჭოს მიერ  
2023 წლის 5 აპრილის სხდომის ოქმი № 5  
თსსა აკადემიური საბჭოს მიერ  
2023 წლის 24 აპრილის სხდომის ოქმი №23

**პროგრამის სახელწოდება :** 0214.1.4 ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება  
**ფართო სფერო (მიმართულება) :** 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები Arts and Humanities  
**ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა) :** 021 ხელოვნება Arts  
**დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია) :** 0214 გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა) Handicrafts

**განათლების საფეხური :** უმაღლესი განათლების მეორე საფეხური/მაგისტრატურა (7)  
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია :** ხელოვნების მაგისტრი ხის მხატვრულ დამუშავებაში/ Master of Fine Arts in Artistic Woodworking  
**მაგისტრატურის ხარისხის მინიჭების მოთხოვნა :** მაგისტრატურის სრული კურსის წარმატებით გავლისა და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომის მისაღებად მაგისტრმა უნდა დააკმაყოფილოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა :**

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება სპეც.კომპოზიციის და უცხო ენის (II დონე) გამოცდით. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით [www.art.edu.ge](http://www.art.edu.ge).  
<https://www.facebook.com/profile.php?id=100052131412775> მოქმედებს ცხელი ხაზი.

**სწავლების ენა :** ქართული

**სწავლის ხანგრძლივობა :** 2 წელი (4 სემესტრი)

**პროგრამის მოცულობა -** 120 კრედიტი (ECTS), მათ შორის :

\* სპეციალობის დისციპლინები - 80 კრედიტი

\* საუნივერსიტეტო დისციპლინები - 12

\* არჩევითი დისციპლინები - 28 კრედიტი

1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ.

ერთი აკადემიური წელი - 2 სემესტრი, კრედიტის მოცულობა - 60 (ECTS)

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა

1 სემესტრი მოიცავს - სასწავლო კვირათა ერთობლიობას და სასესიო პერიოდს, აქედან, სააუდიტორიო მეცადინეობები - 15 სასწავლო კვირა (16,17,18 კვირა)

1 სემესტრის განმავლობაში - ერთი შუალედურის გამოცდა.

სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ - დასკვნითი გამოცდა.

დასკვნითი გამოცდებისთვის განკუთვნილია - 2 კვირა და დამატებით გამოცდისათვის 1 კვირა

- პროგრამის აღწერა

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს ავეჯის პროექტირებისა და ხის მაღალმხატვრულ ნაკეთობათა შექმნის ძირითადი პრინციპებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლას, დარგის განვითარების ისტორიული ეტაპების გაანალიზებას და მომავლის ხედვას. პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა საშემსრულებლო ტექნოლოგიების (ხეზე კვეთა, ჩარხვა, მოზაიკური ტექნოლოგიები) კიდევ უფრო სრულყოფას და ნოვატორული აზროვნებისა და ცდების საფუძველზე, ახალი მეთოდების დანერგვას და პრაქტიკაში გამოყენებას. წარმოდგენილია თანამედროვე ინტერიერები (საცხოვრებელი ბინები, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, საეკლესიო და ადმინისტრაციული შენობები) ავეჯისა და ხის მხატვრულ ნაკეთობათა გარეშე, სადაც გათვალისწინებულია მხატვრულ-კონსტრუქციული მაღალტექნოლოგიური იდეალური ფორმები და პროპორციები. თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით პროექტირება ხორციელდება 3dsmax, photoshop, coreldraw ციფრულ პროგრამებში. პროექტირების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დეტალების უნიფიცირებას და ტრანსფორმაციის შესაძლებლობებს, ადამიანის ანტროპომეტრიული და ერგონომიული მონაცემების საფუძველზე, მოქმედი ან მშენებარე ობიექტების გეგმის მიხედვით ინტერიერის კომპლექსურ გადაწყვეტას, სრულყოფილი კონსტრუქციული ნახაზის შექმნას პროგრამა მოიცავს შემოქმედებითი, ტექნოლოგიური (მათ შორის, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით), კვლევითი, მხატვრულ-ესთეტიკური, პრაქტიკული მუშაობის კომპლექსურ სინთეზს დარგობრივ თეორიულ ცოდნასთან. ყველაზე უფრო თანამედროვე მასალების გამოყენებას: მერქნულ მასალებს, მინა, ლითონი, ტყავშემცვლელი, მსუბუქი შენადნობები, უახლესი კომპოზიტური მასალები, ქსოვილის ლაზერული დამუშავება, უახლესი დაზგა-დანადგარებისა და ხელსაწყოების შესწავლა და მათი გამოყენება. საბაზისო განათლების ამდლების და პრაქტიკული უნარების დახვეწის მიზნით, პროგრამაში შეტანილია ვიზუალური ხელოვნების დისციპლინები და კომპიუტერული პროექტირება, ასევე ხელოვნების ზოგადი ანალიტიკური კურსი, ხელოვნების ანალიტიკური სპეცკურსი, პედაგოგიკა და მენეჯმენტი. პროგრამის გავლის შედეგად მაგისტრატურის კურსდამთავრებული აღჭურვილი იქნება ავეჯის პროექტირებისა და ხის მხატვრული დამუშავების სფეროში მომუშავე სპეციალისტისათვის საჭირო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით.

• **პროგრამის მიზანი :**

პროგრამის მიზანია მოამზადოს ავეჯის პროექტირებისა და ხის მხატვრული დამუშავების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და მკვლევარები. უახლესი თუ ტრადიციული ტექნიკებისა და ტექნოლოგიების საშუალებით მოამზადოს პროფესიონალი, რომელსაც ექნება საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების მზაობა და უნარი. მაგისტრანტებმა უნდა შეძლონ რთული მოცემულობების დაპროექტება კომპლექსური გადაწყვეტით. მიღებული მხატვრული, ტექნიკური და ტექნოლოგიური ცოდნის საფუძველზე შექნან ავეჯისა და ხის ნაკეთობათა მაღალმხატვრული ნიმუშები მაგისტრანტს უნდა გააჩნდეს თანამედროვე დიზაინერისათვის დამახასიათებელი კრიტერიუმების ზუსტი და დროული განსაზღვრის უნარი, რთული კრეატიულ-კონცეპტუალური ამოცანების დამოუკიდებლად გადაწყვეტის უნარი და შეეძლოს მათი სათანდო პრეზენტაცია. პროგრამა მიზნად ისახავს გამოყენებითი ხელოვნების ამ კონკრეტული დარგის პედაგოგის მომზადებას, რომელიც შეძლებს მუშაობას პროფესიული და უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში. პროგრამა ითვალისწინებს საავეჯო წარმოების - სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს ამ მიმართულების მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

## სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია გამოყენებითი ხელოვნების / (ხელნაკეთობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელთან. უმაღლესი განათლების I და II საფეხურები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები ბრძანება MES 5 22 0000897354 12.08.2022) ოქმი გამოყენებითი ხელოვნების / (ხელნაკეთობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ)

### • ცოდნა და გაცნობიერება

1. ახდენს ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას ავეჯის პროექტირებისა და ხის მხატვრული დამუშავების განვითარების უახლესი ტენდენციებისა და მნიშვნელოვანი მიღწევების შესახებ
2. ავლენს დარგისთვის აუცილებელი სხვადასხვა დანადგარებისა და ტექნიკური აღჭურვილობის საფუძვლიან პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას
3. დამოუკიდებლად შეიმუშავებს მხატვრული გადაწყვეტის ორიგინალურ კონცეფციებს
4. იცის მხატვრული ნაკეთობის დეკორის ელემენტების კომპოზიციურად განაწილების ძირითადი პრინციპები და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოცემულობის დაპროექტების დროს

### • უნარი

5. უახლესი ტექნოლოგიებისა და ტექნიკების გამოყენებით, დამოუკიდებლად შეიმუშავებს კონცეპტუალურად ჩამოყალიბებულ იდეას და შემოქმედებითი მიდგომით, ქმნის ავეჯისა და ხის მხატვრულ ნაკეთობათა ნიმუშებს
6. შემოქმედებითი საქმიანობის წარმართვისას ითვალისწინებს ავეჯისა და ხის მხატვრული დამუშავების თანამედროვე ტენდენციებსა და სფეროს სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნებს
7. შესაბამისი თეორიული და ვიზუალური ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის საფუძველზე შემოქმედებითად და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით წყვეტს მხატვრულ ამოცანას და ქმნის კვლევით ნაშრომს/პროექტს
8. თეორიული და პრაქტიკული შრომის შედეგების საზოგადოების წინაშე წარსადგენად ეფექტურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და ასევე ექსპონირების აქტუალურ, თანამედროვე ფორმებს.

### • პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

9. შემოქმედებით, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ საქმიანობაში იცავს პროფესიულ ეთიკას, უსაფრთხოების, ეკო-მეგობრულობისა და უნარჩენო წარმოების პრინციპებს
10. ნაშრომზე/პროექტზე მუშაობისას იცავს აკადემიურ სტანდარტებსა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, წვლილი შეაქვს სფეროს განვითარებაში.
11. აფასებს საკუთარ და სხვების შემოქმედებით დაოსტატების ხარისხს და განსაზღვრავს შემდგომი განვითარების საჭიროებებს.
12. სტუდენტი დამოუკიდებლად მართავს პირად საქმიანობას

## სწავლება/სწავლის მეთოდები :

პროგრამის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე სწავლება-სწავლების მეთოდები მიმდინარეობს შემდეგი ფორმატით :

ლექცია, სტუდიური/ლაბორატორიული სწავლება, პრაქტიკული მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, გუნდური მუშაობა, ურთიერთსწავლება, შემთხვევის ანალიზი, შემოქმედებითი პროექტი / პროექტზე დაფუძნებული სწავლება, კონსულტაცია, სასწავლო პრაქტიკა, სემინარი, პროექტირება, მოდელირება, ექსპონირება / პრეზენტაცია და სხვა.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა :**

სასწავლო კომპონენტის შეფასება ასქულიანია, მრავალკომპონენტია. შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი კონკრეტული საგნის სილაბუსში.

სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება, სემესტრის განმავლობაში ითვალისწინებს 2 გამოცდას :

- შუალედური შეფასება - 40 ქულა (მაქსიმალური)
- დასკვნითი შეფასება - 60 ქულა (მაქსიმალური)

სასწავლო კომპონენტის შეფასების საერთო ქულა - 100 ქულა (მაქსიმალური).

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება შემდეგი სისტემით (დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულა არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას):

ქულები	შეფასება		შეფასების კვალიფიკაცია
91% - 100%	A	ფრიადი	დადებითი
81% - 90%	B	ძალიან კარგი	დადებითი
71% - 80%	C	კარგი	დადებითი
61% - 70%	D	დამკმაყოფილებელი	დადებითი
51% - 60%	E	საკმარისი	დადებითი
41% - 50%	FX	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება	უარყოფითი
0% - 40%	F	ჩაიჭრა (კურსი თავიდან უნდა გაიროს (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)	უარყოფითი

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასება :**

შეფასების მეთოდებად გამოყენებული განვითარების დინამიკის მაჩვენებელი ინსტრუმენტი - პრეზენტაცია, პორტფოლიო, ექსპოზიცია, გამოფენა, ინტერვიუ, რეფერატი და სხვ.

**შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს :** ვალიდურობას ; სანდოობას ; გამჭვირვალობას ; სამართლიანობას ; ობიექტურობას

- **სამაგისტრო ნაშრომი**

სამაგისტრო ნაშრომი ავეჯის პროექტირებასა და ხის მხატვრულ დამუშავებაში წარმოადგენს როგორც საპროექტო ნაწილს შესრულებულს სამგანზომილებიანი გრაფიკით, ასევე მასალაში შესრულებულ ნამუშევარს, რომელიც მოიცავს როგორც მხატვრულ-დიზაინერულ ასევე კონსტრუქციულ-ტექნოლოგიურ კვლევის ყველა კომპონენტს. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა შეადგენს 30ECTS, სრულდება IV სემესტრში – 15

კვირის განმავლობაში.

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 2 კვირიან სავალდებულო შემოქმედებით პრაქტიკას, რომლიც ტარდება IV სემესტრის დასრულების შემდეგ, სამაგისტრო ნაშრომის საპრეზენტაციო დაცვამდე.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება როგორც შუალედური შეფასებების, ასევე დასკვნითი გამოცდის სახით. დასკვნითი გამოცდა ტარდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ფორმატში; ხდება შემოქმედებითი პროექტის ექსპონირება (დაცვა), რომელიც ტარდება თსს აკადემიის დარგობრივი (საფაკულტეტო) კომისიის წინაშე.

სამაგისტრო ნაშრომი	ქულა
სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა-არგუმენტაცია	8
შემოქმედებითი პედაგოგიური პრაქტიკა	2
სამაგისტრო ნაშრომისათვის მოსამზადებელი მასალის (ესკიზები, ეტიუდები) წარმოდგენა	25
სამაგისტრო ნაშრომის შუალედური პრეზენტაცია	25
დასკვნითი გამოცდა (სამაგისტრო ნაშრომის დაცვა)	40

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება IV სემესტრის დასრულების და 2 კვირიანი სავალდებულო პრაქტიკის შემდეგ.

მაგისტრანტმა უნდა შეძლოს ნაშრომის-პროექტის საჯარო წარდგინება, იდეის და მისი განხორციელების მკაფიო დასაბუთება-დაცვა.

სამაგისტრო ნაშრომს აფასებს კომისია 8 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან ერთ-ერთი არის კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის წევრები და თავმჯდომარე შეირჩევა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან და დარგის მაღალკვალიფიკაციური

სპეციალისტებისაგან. სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას მაგისტრანტი კომისიის წინაშე წარადგენს შესრულებულ სამაგისტრო პროექტს;

ანოტაციის ფორმატში მოხსნებით გამოდის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი;

დასკვნით რეცენზიას წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი. (რეცენზენტი უნდა ფლობდეს დარგის ან ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის წოდებას.)

სამაგისტრო ნაშრომს უნდა ახლდეს პორტფოლიო, ანოტაცია, ჩატარებული სამუშაოს უკეთესად წარსადგენად და აღსაწერად სასურველია დაერთოს ესკიზები (სამუშაოს დაწყებიდან – საბოლოო, დაზუსტებულ ვარიანტამდე) და ჩატარებული სამუშაოს საილუსტრაციოდ გაკეთებული ვიზუალური (ფოტო ან ციფრული) მასალა.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები :**

- შემოქმედებითი ძიებითი პროცესის წარმართვის უნარი - 10 ქულა
- სწორი კონსტრუქციულ - ტექნოლოგიური გადაწყვეტა, ფორმისა და კონსტრუქციის შესაბამისობა ფუნქციასთან - 10 ქულა
- დეკორის ელემენტების და ფურნიტურის სწორი შერჩევა ავეჯის მთლიანი კომპლექტის და ინტერიერის ერთ სტილში გადაწყვეტა, დაპროექტება - 10 ქულა

- 3ds Max პროგრამაში ესკიზების მიხედვით ავეჯის კომპლექტის შექმნა Editable Poly - ით და Splines - ით მოდელირება - 10 ქულა
- საპროექტო მოცემულობის ფერითი გადაწყვეტა, 3ds Max პროგრამაში დაპროექტება, ტექსტურების შერჩევა და გადაკვრა Material Editor - ით - 10 ქულა
- ნამუშევრის შესაბამისობა თანამედროვე ტენდენციებთან და მოთხოვნებთან - 10 ქულა
- საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის შედგენის სიზუსტე - 10 ქულა
- სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების, ერგონომიკისა და სტანდარტების გათვალისწინება - 10 ქულა
- სადიპლომო ნამუშევრის მასალაში შესრულების ხარისხი - 10 ქულა
- წარმოდგენილი საპროექტო მოცემულობის გრაფიკული ვიზუალიზაციის ხარისხი - 10 ქულა

**დასაქმების სფეროები :**

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები მომზადებულები ხვდებიან დარგის სმომხმარებლო ბაზრის გამოწვევებს, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს დასაქმდნენ შემდეგი მიმართულებით: საქართველოში არსებული უმსხვილესი საავეჯო საწარმოები, ხის მხატვრული დამუშავების საწარმოები, საპროექტო - საკონსტრუქტორო ბიუროები, ავეჯის სალონები, სარეკლამო სააგენტოები, ტელევიზია, თეატრისა და კინოს ინდუსტრია და სხვა.

**პროგრამის სტრუქტურა** (სემეტრების მიხედვით გათვალისწინებული კრედიტების ოდენობა

საგნების დასახელება	I	II	III	IV	EGTS
საუნივერსიტეტო დისციპლინები	6	6			12
არჩევითი დისციპლინები	9	9	10		28
სპეციალობის დისციპლინები	15	15	20	30	80
<b>სულ</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>120</b>

საგნების დასახელება	ECTS / სთ	ლექცია (კვირა)	სთ/ლექცია	საკონტაქტო/სთ	არასაკონტაქტო/სთ	ლექცია პრაქტიკუმი/სთ	შუალედური შეფასებები)ა/სთ	დასკვნით გამოცდა
<b>საუნივერსიტეტო დისციპლინები</b>	<b>12</b>							
პედაგოგია	3/75							
ოცხო ენა I	3/75							
უცხო ენა II	3/75							
მენეჯმენტი	3/75							
<b>სპეციალობის არჩევითი დისციპლინები</b>	<b>28</b>							
<i>ძირითადი სპეციალობის საგნები</i>	<b>80</b>							
კომპოზიცია I	5/125	15	6	94	31	90	2	2
კომპოზიცია II	5/125	15	6	94	31	90	2	2
კომპოზიცია III	5/125	15	6	94	31	90	2	2
მასალაში მუშაობა I	5/125	15	6	94	31	90	2	2
მასალაში მუშაობა II	5/125	15	6	94	31	90	2	2
მასალაში მუშაობა III	5/125	15	6	94	31	90	2	2
კონსტრუირება I	3/75	15	4	64	11	60	2	2
კონსტრუირება II	3/75	15	4	64	11	60	2	2
კონსტრუირება III	3/75	15	4	64	11	60	2	2
ხის დამუშავების ტექნოლოგია I	2/50	15	3	49	1	45	2	2
ხის დამუშავების ტექნოლოგია II	2/50	15	3	49	1	45	2	2
ინტერიერის დიზაინი	5/125	15	6	94	31	90	2	2
პრაქტიკა	2/50	15	3	49	1	45	2	2
სამაგისტრო ნაშრომი	30/750							
<b>სულ:</b>	<b>120</b>							



- სასწავლო რუკა

საგნების დასახელება / BFA	კურსზე დაშვების წინაპირობა	I	II	III	IV	EGTS
<b>საუნივერსიტეტო დისციპლინები</b>		<b>6</b>	<b>6</b>			<b>12</b>
პედაგოგიკა	წინაპირობის გარეშე	3				
უცხო ენა I	წინაპირობის გარეშე	3				
უცხო ენა II	უცხო ენა I		3			
მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე		3			
<b>არჩევითი დისციპლინები</b>		<b>9</b>	<b>9</b>	<b>10</b>		<b>28</b>
<b>სპეციალობის დისციპლინები</b>		<b>15</b>	<b>15</b>	<b>20</b>	<b>30</b>	<b>80</b>
კომპოზიცია I	წინაპირობის გარეშე	5				
კომპოზიცია II	კომპოზიცია I		5			
კომპოზიცია III	კომპოზიცია II			5		
მასალაში მუშაობა I	წინაპირობის გარეშე	5				
მასალაში მუშაობა II	მასალაში მუშაობა I		5			
მასალაში მუშაობა III	მასალაში მუშაობა II			5		
კონსტრუირება I	წინაპირობის გარეშე	3				
კონსტრუირება II	კონსტრუირება I		3			
კონსტრუირება III	კონსტრუირება II			3		
ხის დამუშავების ტექნოლოგია I	წინაპირობის გარეშე	2				
ხის დამუშავების ტექნოლოგია II	ხის დამუშავების ტექნოლოგია I		2			
ინტერიერის დიზაინი				5		
პრაქტიკა				2		
სამაგისტრო ნაშრომი					30	
<b>სულ</b>		<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>120</b>

- პროგრამის ადამიანური რესურსი : პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ თსსა აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორები, მოწვეული პედაგოგები, მათ შორის :

<i>№</i>	<i>პედაგოგი სახელი/გვარი</i>	<i>სტატუსი</i>	<i>დისციპლინა</i>
1	თეიმურაზ სარიშვილი	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> <li>• კომპოზიცია I</li> <li>• კომპოზიცია II</li> <li>• კომპოზიცია III</li> <li>• მასალაში მუშაობა III</li> <li>• სამაგისტრო ნაშრომი</li> </ul>
2	ეკა სარიშვილი	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> <li>• კომპოზიცია I</li> <li>• კომპოზიცია II</li> <li>• კომპოზიცია III</li> <li>• სამაგიდტრო ნაშრომი</li> </ul>
3	გიორგი ბერიკაული	ასისტენტ პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> <li>• მასალაში მუშაობა I</li> <li>• მასალაში მუშაობა II</li> <li>• მასალაში მუშაობა III</li> <li>• სამაგისტრო ნაშრომი</li> </ul>
4	ავთანდილ ინასარიძე	ასისტენტ პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> <li>• მასალაში მუშაობა I</li> <li>• მასალაში მუშაობა II</li> </ul>
5	ლეილა ქუფარაშვილი	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონსტრუირება I</li> <li>• კონსტრუირება II</li> </ul>
6	დავით ნიკოლაიშვილი	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინტერიერის დიზაინის საფუძვლები</li> <li>• ინტერიერის დიზაინი</li> </ul>
7	ლიკა სარიშვილი	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> <li>• კომპოზიცია I</li> <li>• ციფრული მოდელირება</li> </ul>